საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის პროგრამების ანგარიში

2026 წლის 1 იანვარი - 31 მარტის მდგომარეობით

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“– 30 07

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა: <u>თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება</u>

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ეფექტური სისტემის ფუნქციონირება - (30 07)

პროგრამის განმახორციელებელი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
30 07	<u>საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ეფექტური სისტემის ფუნქციონირება</u>	10 000,0	10 000,0	4 878.4	48.8%	8 383,4

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

გადაუდებელი დახმარების ერთიანი სატელეფონო ნომერი „112“

2026 წლის 1-ლი იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ოპერატორებმა 884 341 ზარს უპასუხეს. მიღებული ზარები დამუშავდა და საჭიროებისამებრ გადაეცა შესაბამის მომიჯნავე სამსახურებს.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის სასწავლო ცენტრი

საანგარიშო პერიოდში სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის სასწავლო ცენტრის მიერ ჯამში გადამზადდა - **86** პირი.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ში მისაღებ კანდიდატთა საბაზისო ტრენინგი – 24 მონაწილე;
საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ქოლ-ცენტრის თანამშრომელთა ტრენინგი „სუიციდის პრევენცია“ – 33 მონაწილე;
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სსიპ - ,,განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის“ თანამშრომელთა ტრენინგი ,,ეფექტური კომუნიკაციის როლი მომსახურების სფეროში“ – 29 მონაწილე.

ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის განვითარება

საანგარიშო პერიოდში, ქვეყნის მასშტაბით დამონტაჟდა - 795 ზოგადი ხედვის ვიდეოკამერა და 73 ნომრის ამომცნობი ე.წ. „ჭკვიანი“ ვიდეოკამერა; ამოქმედდა 30 სიჩქარის კონტროლის სექცია, რომელიც ფარავს 79კმ-ს . ჯამურად, ქვეყნის მასშტაბით დამონტაჟებულია - 9 754 ვიდეოკამერა, საიდანაც, 7 166 არის ზოგადი ხედვის, ხოლო, 2 588 ნომრის ამომცნობი ე.წ. „ჭკვიანი“ ვიდეოკამერა; ქვეყნის მასშტაბით ამოქმედებულია - 688 სიჩქარის კონტროლის სექცია, რომელიც ფარავს 2 406კმ-ს.

ელექტრონული მონიტორინგის სისტემა

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად, პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ ელექტრონული ზედამხედველობა დაუწესდა - 4 მოძალადეს. ხოლო სასამართლოს მიერ ელექტრონული ზედამხედველობა დაკანონდა 4 შემთხვევაში.